ერთი კლასის კვაზიწრფივი ნეიტრალური ოპტიმალური ამოცანის ამონახსნის არსებობის შესახებ

იოანე მექვაბიშვილი, ნიკოლოზ ლეჟავა

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნირებათა ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი
& ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ნაშრომში, მუდმივი დაგვიანების პარამეტრების შემცველი კვაზიწრფივი (სიჩქარის წინაისტორიის მიმართ წრფივი) ნეიტრალური სამართი დიფერნციალური განტოლებისათვის განხილულია ოპტიმალური ამოცანა (კვაზიწრფივი ნეიტრალური ოპტიმალური ამოცანა) ზოგადი ფუნქციონალით და შეზღუდვებით ფაზურ კოორდინატებზე. მოყვანილია ოპტიმალური ამოცანის ამონახსნის არსებობის თეორემები. ამონახსნის ქვეშ იგულისხმება დაგვიანების პარამეტრებისა და მართვის ფუნქციის ერთობლიობა.